

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ რეაბილიტირებული ახალციხის N1 საჯარო სკოლა გაიხსნა

2017-12-13

13 დეკემბერს, სრულად რეაბილიტირებული ახალციხის N1 საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა**, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში მისმა აღმატებულებამ **იან კელიმ** და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა **მაგდა მალრაძემ** საზეიმოდ გახსნეს.

ახალციხის N1 საჯარო სკოლაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 000-მდე კვადრატულ მეტრს და სასწავლო გარემო გაუმჯობესდა 1000 მოსწავლისთვის.

მაგდა მალრაძე: – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს საქართველოში საბუნებისმეტყველო განთლების ხარისხის გაძლიერებას, შესაბამისად თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიებით ჩვენ მიერ რეაბილიტირებული სკოლების აღჭურვა ხელს შეუწყობს აღნიშნული დისციპლინების გაძლიერებას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.“

ელჩის განცხადებით, სკოლების რეაბილიტაცია და ლაბორატორიებით აღჭურვა მოსწავლეებს მსოფლიო დონის განათლების მიღებაში დაეხმარება.

„მოხარული ვარ სამინისტროსთან და ფონდათან ერთად მონაწილეობა მივიღო ამ ისტორიულ მომენტში და საზეიმოდ გავხსნათ ახალციხის N1 საჯარო სკოლა. აშშ-ის მთავრობა, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეშვეობით, აფინანსებს საქართველოში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტს.

ჩვენ შევძლებთ, რომ მოსწავლეებს მივცემთ მსოფლიო დონის განათლებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს გაძლიერებას და კეთილდღეობას.“ – აღნიშნა აშშ-ის ელჩმა მისმა აღმატებულებამ იან კელიმ.

სტუმრებმა ახალციხის სკოლის გახსნის შემდეგ, ახლადრეაბილიტირებული ვალეს საჯარო სკოლაც მონახულეს. ვალეს სკოლაში სრულად რეაბილიტირდა ორი ათას კვადრატულზე მეტი ფართი და 300-ზე მეტი მოსწავლე თანამედროვე გარემოში იღებს განათლებას.